საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაფჩინსკი კაზიმეჟ

ლაფჩინსკი (Lapczyński) კაზიმეჟ (1823–1893), პოლონელი მთარგმნელი. 1844 ჩამოვიდა საქართველოში. მუშაობდა ინჟინრად. დაინტერესდა ქართ. ფოლკლორით, კრებდა ქართ. ანდაზებს. მეგობრობდა გ. ერისთავთან, რ-ის დახმარებითაც თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და გამოაქვეყნა 1863 „ბიბლიოტეკა ვარშავსკაში“ (1863). ამ თარგმანისათვის წამძღვარებული შესავალი დაიბეჭდა „ცისკარში“ (1870). ლ-ის მიერ ქართ. თემატიკაზე შექმნილ თხზულებათა შორის მნიშვნელოვანია „თბილისიდან არარატამდე“.

ს. რავიჩი